

რედაქცია: სოლოლაკზე, ზღის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ზადი განსაჯებისთვის: ცალკე ფორმით ასოზე 1 კაპ., მარამობისთვის— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეაზოკლოს დასაყვედროთ გამოგზავნილი სტატეიანი. დასაყვედროლი სტატეიანი ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფარია - ცვალფის დღესასწაულთა ბის გომ, საფაბათს, 7 აგვისტოსს გაზეთი არ გამოვა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში— ზღის (სადოვი) ქუჩაზე ზ. შადინოვის სახლებში, № 33

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროზბა“.

ზადი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი— ხუთი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 31 ივლისს. (12) აგვისტოსს. პორტა ისევ ბეჯითად მეცადინეობს შეამუშაოს მცირე აზიის რეფორმებზედ კითხვები. ამბობენ, რომ მცირე აზიის პროვინციებში, განსაკუთრებით სომხეთში, მმართველობა ქრისტიანების ჩინოვნიკებს უნდა ჩაბარდეს: არზრუმის, მუშკისა და მანქის ოკრულების აღმინისტრაციებისთვის ორი დენგრაღ-ლუბერნატორი, ექვსი ვიცე-ლუბერნატორი და 22 მუტესტარიფები უნდა დაინიშნოს, რომლებთაგან არც ერთი ბუსურმანის სარწმუნოებისა არ იქნება. რამოდენიმე დღეა სომხების ახალგაზღვრება სტამბოლში ახდენენ ნაციონალურ მანიფესტაციას. რამოდენიმე ახალგაზღვრები, სომხები, ფესკით აღარ გამოდიან ქუჩებში. ამის გამო მრავალი დაატყვევეს; ამათ შორის აღმოჩნდა რუსის მფლობელობის ქვეშ მყოფი სომეხი, რომელმანც უარი სთქვა ქუდის გამოცვლაზედ. ამ გვარი მოქმედება ყურადღების ღირსი შეიქნა, რომ სომხებში რაღაც მოძრაობის, არეულიობის ნიშნებია. მათრის მმართველობა ყოველივე ღონისძიებას ხმარობს ამათ წინააღმდეგ, რომ ვითომ ენის ეკუთვნიან კომიტეტს, შემდგარს

იმ მიზნით, რომ მოახდინონ საზოგადოაგენტოცა.

ლონდონი, 2 (14) აგვისტოსს. ბაქო-დამ იწერებიან ტელეგრაფით, რომ თურქები მიდიან მერიდამ ჩრდილოეთისკენ; იმათ ხივაში გაგზავნეს რამოდენიმე ათასი ცხვარი პურში გასაცვლელად; ჩხუბი ჯერ არ ჰყოფილა. მ-თმა ინგლისელმა ვაჭარმა, როგორც ამბობენ, მიჰყიდა ამათ 1600 მარტინის თოფები.

ვენა, 2 (14) აგვისტოსს. ტაფე ავსტრიის შინაგანი საქმეთა სამინისტროს პრემიორათ არის დანიშნული. შტრამიერი დანიშნულია რუსტიციის მინისტრად.

პეტერბურგის ბირჟა, 31 ივლისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	93—25
მეორე — — — — —	93—12
მესამესი — — — — —	— — — —
მეოთხესი — — — — —	— — — —
აღმოსავლეთის პირ.	92—37
აღმოსავლეთის მეორე	91—1
აღმოსავლეთის, მესამე	92— —
რქრო, 1/2 იმპერიალი	7—78

თფილ. თავადაზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —  
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — —	232— —
მეორე სესხის — — — —	231—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — — —	პენსი
ბერლინი — — — —	ცენტი
პარიჟი — — — —	სანტიმი
ვენა — — — —	ჰფენიგი
ბავკასიის კერასინი — — —	— — —

## საქართველო

დღიური

\* \* \* \* \* თბილისის მოამბეში იწერებიან, რომ ამ თვის პირველ რიცხვს სოფ. გე-

ძისში (თბილისიდან ათიოდე ვერსზედ) მიდიდა შტაბს—კაპიტანი შიოგვი თავეის მოსამსახურით. ამ დროს ვილაყებს გამოუსვრიათ რამოდენჯერმე თოფი და მიხმედ დაუჭრიათ შიოგვი. იმის მოსამსახურეს კი ძოუსწვრია თავს უშველოს და გაუჭინებია ცხენი; სასიკვდილოთ დაჭრილი შიოგვისთვის კი ამათ მოუჭრიათ თაფი.

მკვლევები ჯერ ვერ უპოვიან!

\* \* \* \* \* ძიდე ცუდი მოსაველის თაობაზედ. ალექსანდროპოლიდამ იწერებიან, რომ წელს თავებმა და სიციხებმა ისეთი დღე დააყენეს იქაურ ნათესებს, რომ სრულიად გააფუჭესო.

ზაქათალიდამაც აგრეთვე ძალიან წაკლებ მოსაველს იწერებიან.

\* \* \* \* \* სოფ. ძარდენახიდან გეწერენ: „საზოგადოთ მთელ ძაზიუში ძალიან ბეგრან არის ტყეები, რომელშიც თავადებსაც ბლომათ უჭერიან. მაგრამ არსად იმას რიგიანათ არ ეპყრობიან. ამისათვის ძრიელ საქარია, რომ ამას მიაციონ ყურადღება. შევლამ იცის, რომ სადაც ტყეები ამოვარდნილია, იქ წყლებიც დამშრალია და წვიმებიც ცოტა მოდის და სადაც წყალი და წვიმა ცოტა არის, იქ ნაყოფიერებაც წაკლებია. ამისათვის ამ ჩვენი ტყეების შენახაზედ უნდა იყვეს მიტყული განსაკუთრებული ყურადღება. როგორც ცხლა ინახება ტყეები, თუ ისე შეინახეს კიდე, მალე ენახეთ, რომ სულ ამოვარდნილი იყვეს ჩვენი ტყე. თუმცა თ. ილია აფხაზის მეცადინეობით შეკრეს ტყე და დააყენეს ყარაულები, მაგრამ ამ გვართ მრავალჯერ ჰყოფილა დატული, რომ თაფი ვერ დაუჭრიათ და უფრო გაფუჭებულა.

თ. ი. აფხაზმა, როგორც ჩვენი ახლად დაარსებული ბანკისთვის მიიღო მსურველე მონაწილეობა და ამისთვის მადლობის თანაგრძნობა ხალხისაგან, ისე მომეტებული მადლობის ღირსი იქნება ყველასგან, თუ ამ ტყეების შენახაზედაც იზრუნებს რიგიანათ.

\* \* \* \* \* სოფელ შიორგიწმინდიდან გეწერენ, რომ იქაურ სასოფლო საწავლეებელში წელს ძარტო ოციოდე ყმაწვილისა და სამი ქალის მეტი არ სწავლობსო. თუმცა ეს დიდი სოფელია, ახალგაზდა ქალ-ვაჭები მრავალნი არიან, მაგრამ ვაჭებს დედ-მამა არ აძლევენ შკოლაში წასვლისასაო; რომ წერაკითხვას ასწავლიან და სალდათებთ წიყე-

ნებნო და ქალებსაც უფრო არ გზავნიან: როგორ ვენდობო ამ უცხო უჩინტელსაო? მინ იცის, ვინ არისო? ჩვენი სოფლის ვინმე რომ იყვეს, კიდე შეიძლებაო და აბა უცხოის როგორ ჩაუყვლოთ ქალები ხელშიო.

აქისი მიზეზი, მოსწავლეების სიცოტავისა, მასწავლებლის დაუდევრობაც არისო! სწერს კორრესპონდენტი.

\* \* \* თელავიდან, სოფ. შაშიანიდან დიდა სამღურავს გეწერენ ტყის მცველებზე (ლენინებზე და აბეშიკებზე). ამ წელს საზოგადოებამ აიღო ბილეთი, ტყით უნდა ესარგებლნო და ფულიც მაშინვე წარადგინესო. ხალხმა მოსტრა ტყეში ჭიგობით, მაგრამ მოვიდა აბეშიკი და გამოუცხადა იმას, რომ არაინ არ გაბედოს ჭიგობის წაღება ლენინის მოსლვამდისო. სამი კვირის შემდეგ მოვიდა ლენინი, მაგრამ იმანაც ნება არ მისცათო სანამ ვენახებს კვირტი არ გამოუვიდა სულ უქიგოვით დარჩათ იაინო და სხ.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ სიღნაღიდან გახეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

სტერის აღდგომა მაშინ არისო, როცა მგელი მოკვდება. სიღნაღელსაც ეშველათ, რაც ერთ მგელზე უარესი დებუტატი თავიდან მოიშორეს. მაგრამ საგეშავი მანც გაიტანა: ქალაქისა შეეჭაპნა ბარემ 400 მან., ზოგი სესხით, ზოგი პატიობით, როგორც იყო აწვიტა, მაგრამ კიდევ დარჩა 180 მან. ის ვიღას უნდა მოსთხოვოს ქალაქმა, ღმერთმა იცის! სიღნაღელმა იფიქრეს: ოღონდ თავიდან მოგეშორდესო და თუნდა მაკდონი კიდევ სხვა წაიღოსო.

სასაცილო საქმე და ქცევა, სასაცილოთ დაბოლავდება:

მგეთი ვაცილება ჰქონდა, მითამ ილილიუმინაცია გამიმართესო: თითონვე მიიწვივა ორიოდე თავის მზგავსი ამხანაგები თავის ბაღში და დაუძანა კაზარშიდგან სალდათებს, დაურიგა ხელში სანთლები და უბრძანათ ბაღში გაფანტული ირბინეთო და იმღერეთო, ვითამ და დიდი კამპანია პატივს მცემს და ისე მისტუმრებსო!..

თუ რა სინიღისიანი დებუტატი იყო ისა სჩანს აქედამ: ერთ აქაურ მწერალს გადაწერიან რალაცა 15 მან. და დაპირდა, ასტრახანში წაგიყვან, პრიკაშიკათ მიგაბარებ სადმე, ასი თუმანი ჯამაგირი გექნებაო. ეს ყმაწვილიც დაპყვა და მოემზადა საგზაოთ. როცა წავიდა ბარგის მოსატანათ, იმან უკან კაცი მიაყოლა, რომ უკაცროთ, სხვა გამოძინდა მგზავრი და შენ ვეღარ წაგიყვანო, — და გასწივა თითონ ტროკით, 15 მან. შერჩა და ტყუილიცა!

აქი იყო თუ კარგი, ის ხო მოვიშორეთ, მაგრამ ერთი კიდევ დაკვირნა იმისი ნაწყვეტი.

აბა იფიქრეთ, რომელი პატიოსანი კაცი იზამს ამ საქმეს: უნდა ვასავლის

წიგნში ჩაეწერნათ 100 მან. დანახარჯი, დებუტატმა, სინიღისიანმა, რასაკვირველია, ეს დანახარჯი ვერ დანახა ნამდვილათ და გამოაცხადა, რომ მოგონილია და ხელი არ მოაწერა. პრისტავმა ბევრი არ იფიქრა, აიღო და იმის კანდიდატს მოაწერინა ხელი.

ლოფმა ტიზენგაუზენმა, (უეზდის უფროსმა), თავის ქვემეგრდომებს მაგრა მოსჭიდა ხელი, მაგრამ ძრიელ გაიტყვერები არიან, ყველას ვერ მოატანს ხოლმე.

ახალგაზდა ჩინოვნიკები ძლიერ პატიოსნები არიან.

ტიზენგაუზენი სასარგებლო კაცია უეზდისთვის და პატიოსანიც, ამ ცოტახანში გახსნის სიღნაღში ბანკს, სოფლებში შემნახველ-გამსესებელ ამხანაგობაა. მართი სიტყვით სიკეთისთვის თავგადადებულია: მაგრამ რა ქნას, რომ სწავგვარი კაცები ახვევიან გარეშემო!

\* \* \* მკითხველს ვხსოვება, ჩვენს გახეთში (127 №-ში) დაბეჭდილი სტატიიდან, რომ შორაპანში პრისტავს უნდოდა სახლიდგან გამოეგდო ერთი ქვრივი დედა-კაცი, რომლისათვისაც ვალების გამო სახლები უნდა გაეყიდნათ. ამ საქმის თაობაზედ ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

როდესაც ნებით არ გამოვდა ქვრივი სახლიდგან, შორაპანის მაზრის უფროსმა გამოგზავნა პოლიციისა და უეზდის პრისტავები. მით ამითგანს უნდა მოეხმარა პოლიციის ძალო და ქვრივი გარეთ გამოეგდო, მეორეს კი უნდა ჩაეხარებინა ადგილ-მამული ლეჟევას გერებისათვის. რადგანაც ქვრივი მზათ იყო, რომ სახლში არაინ შემოეშვა, ამისათვის მამასახლისმა ბრძანების ძალით შეკრიბა 20 კაცი და ყველანი მივიდნენ ზემოხსენებულის ქვრივი მოსაგდებლათ; მაგრამ ძრიელ დიდი სიმამაცე გამოიჩინა ამ ქალმა. მისი პრისტავი და მამასახლისი მთელი ერთი დღე სთხოვდნენ, რომ შინ შესვლის ნება მიეცა, მაგრამ ქვრივი ბალკონზე ხანჯალ ამოღებული ამბობდა:

„პრისტავებო! თქვენი ცოლ-შვილის ცოლგას ნუ დამადებთ. მინც მე მიჩივის ის მოვიდეს და მას გავცემ პასუხს და შინაც შემოაუშვებ“.

ამ ლაპარაკში მოეპარა უკანდგან პრისტავის განზრახბული ყაზანი რუსი, წავლო მკლავებში ხელი და გაჩერა. ბრძანებით მიცივიდნენ, ხანჯალი და დამბახა აგლიდგან წართვეს მაგრამ ის მაინც ვერ გამოაგდეს.

პრისტავებმა აქტი შეაყენეს და წავიდნენ ისევე ხელ-ცარიელი შვირილიაში.

\* \* \* სომხურა გზეთ „მშაკში“ სწერენ მათუმიდამ, რომ აქ ამ ქადად ზოგიერთ სომხს პატიოტებს ფულის მოგროვებში დაუწყვიანთ, რა მოუგროვებიათ კიდევ რამდენიმე, სასარგებლოთ არარატიანთ საზოგადოებისა“.

„შინ რომ ყმაწვილი...“  
რეთ ტაბლას რა უნდა...

\* \* \* ბუშინ, შაბათს, სომხებმა თვლისში „პეპო“ წარმოადგინეს. როგორც გამოცხადებულია, ამ წარმოდგენაზედ სტამბოლიდამ მოყვანილი სომხის აქტიორებიც თამაშობენო.

\* \* \* იკვრეთიდან გეწერენ, რომ თითქმის ყველა იქაურ საზოგადოებაში გაუქმებულია ერთხელ დიდის ამბით გაყობილი პურის მაღაზიებო.

„დროშის“ კორრესპონდენცია

იმაკეთიდან, 30 ივლისს. ძალიან ცუდ წელიწადში ვდგევართ! შოველი მხრიდან სამწუხარო ამბები გვესმის წლევიანდელ მოსაველებზედ. ზოგან მეტი სიცხეები, გვალვა აფუტებს ჭარახოს, ზოგან მეტი წვიმები და წყალდიდობა! ამას დაუმატოთ კალიისკან ზარალი, მინდვრის თავგებისგან ზარალი და გავიგებთ, რამდენ მაზარალბელ მტერს დაუტყვეტა თვალები ჩვენი ოფლითა და შრომით მოპოვებული ლუკმისთვის! შეიანებია და იმათაც კბილი დაასო ყოველ წელს აუცილებელმა მტრმა — ნაკარმა. მართი სიტყვით, თუ ყველა ხმები გახეთებისა და კერძო პირებისა შესახებ წლევიანდელი ცუდი მოსაველისა მართალია; თუ, როგორც ჩვეულება გვაქვს ხოლმე, ერთი ორათ, სამათ, გადიდებით და გადამეტებით არ არის ნათქვამი, მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლად საგრძნობელი, საფიქრებელი იქნება ჩვენი მომავალი!

ზაინდეთ, როგორი სიძვირე და ცუცხლია კიდება ყველგან ყველაფრისა! შუთი პური მართლში ცხრა აბაზამდი ფასობს; აგრეთვე ძახეთშიაც ერთი-ორათ აფასებენ იმას!

„დროებიდან“ ვტყობილობთ, რომ პახეთიდან, საგარეჯოდამ, მართლში მოუშართავთ პურის სასყიდლოთ. ეს, მგონი, თუ პირველი არა, იშვიათი მოვლენა უნდა იყვეს ჩვენში! ჰყოფილა კვლავაც ცუდი მოსაველი, დაძვირებული ყველაფერი, მაგრამ ისე ძალიან ძნელათ, რომ ერთი მხრიდან მეორეში გაეგზავნოსთ კაცი ამ გვარის მიზნითა, ძალიან იშვიათაა.

ჩვენს ხალხს რომ თაოსნობა ჰქონდეს, იმას რომ იმდენი მოფიქრება წინ მოუძლოდეს, რომ ცოტა ხვალისთვისაც უნდა იზრუნოს კაცმა, — ეს ასე არ მოხდება და არ მოხდება, ძნელად ამ გვარ მცირე მოსაველიან წელიწადში ხელცარიელი არ დარჩებოდა! წოდულს უხვი მოსაველია, — შეინახე რამოდენიმე ნაწილი დრომდი, იმ დრომდი, სანამ შეამცნედე, რომ სამემრისოთაც იმდეს გიქადის მოსაველი! — ამ გვართ მოქცევისათვის საჭიროა ერთი პირი და ხელის მიციემა საზოგადოებისა. მართი სიტყვით



აქ საჭიროა დაზოგვა, გადანარჩუნება, შენახვა!

და რას ბრძანებთ? მანა არაფის უფიქრია ჩვენში ეს კეთილი საქმე? მანა ჯერ არაფის უცდია ამ გვარად საქმის დაჭერა?

— დიდი ხანია და ბევრსა!.. პურის მალაზიები, (ანუ ცარიელი შენობა პურის შესანახავად), რომელიც თითქმის ყოველივე მცარე საზოგადოებაში გამართეს ეს რამდენიმე წელიწადი, — სწორედ ამისთვის და ამგვარ დროებისთვის არის! მაგრამ მათი დანიშნულება ის კი არ არის, რომ სადმე შუა სოფელში გამოჰქონონ, დალონ კარები და იძახონ: „მალაზია გეაქვს! აი ჩვენი მალაზია!“ იმაში რაიმე უნდა იყოს! შიგ უნდა ინახებოდეს საჭიროების დროისთვის და გაჭირვებულისთვის საშუალება! იქ უნდა გადადებული იყოს ყოველ წლებით მოსავლის დროს რამოდენიმე ნაწილი სარჩოლისა!

აქედამ უნდა შეეძლოს ხელის გამართვა ყველას, ვისაც კი დასჭირდება!

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ იმერეთში? შებენდით შემოდის ვიქცა, რომ არც ერთი აქაური საზოგადოება ამას არ ასრულებს! ვერც ერთ მალაზიაში ვერ ნახავთ ორ მარცვალ პურს, სიპინდს, ან სხვა რამეს! მარტო ცარიელი სახლები წამოუყუნებიათ და ეს არის! იძახიან „მალაზია, მალაზია!“ რის მალაზია! რა მალაზია!?

ძალიან კარგი იქნებოდა და კეთილი განკარგულება, რომ ყოველივე მაზრის უფროსები ვალდებულია განთიანდნენ თავიანთ მაზრის მცხოვრებლებს, რათა ამ შენობაში ყოველ წლებით ინახებოდეს ჭირნახული და სადაც ჯერ არ უფიქრიათ არც ცარიელი შენობის დადგმა, იქაც გამართვინებდნენ! თუმცა საზოგადოთ ნაძალადევი არა ვარგა რა; თუმცა ძალდატანებით რაიმე საქმის გაკეთებას ხალხი სხვანაირად, მრუდეთ უყურებს, მაგრამ ეს ისეთი სასარგებლო და აუცილებელი რამეა ყველასათვის, რომ როცა ხალხს თავისით არ უნდა გააკეთოს, — ყოველივე ხალხის სიკეთის მოსურნე კაცს და განსაკუთრებით ისეთებს, როგორც მაზრის მმართველი და თვალყურის მგდებელი, პირდაპირი ვალი სძევთ ამ საქმეს ხელი მოუწყონ! ხალხს, მეტადრე ჩვენს ხალხს, ხელმძღვანელი ეჭირება, დამხმარებელი და ჩამგრნებელი უნდა! მარტო თავის-თავად ის არას გააკეთებს, ანუ ვერას გააკეთებს!

რასაკვირველია ამითი ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ მმართველობა ამ საქმეში არ ეხმარება ხალხს, არ არიგებს და აგრძობანებს ამის სარგებლობას მეთქი! სრულიად არა! ჩვენ ვიცით, რომ პირველად ეს აზრი ხალხს ამხრიდგან ჩაქვეთა ყურში, ამათი მეცადინეობით, ან ძალდატანებით ვხედავთ სოფლებში მალაზიებს. მაგრამ რა ჰქნან ცარიელია მალაზიებმა, თუ შიგ მარტო თავიანთი „პოლკობენ“ და ობობები ქსელს აბენ?

რასაკვირველია, ეს თვითონ სოფლის ადგილობრივი მმართველების, მოხელეების საქმეა; ამათი პირდაპირი ვალია, მაგრამ ერთი მიზრძანეთ, სხვა რა კეთილი რამე გაკეთებულა ამათგან, რომ ეს გააკეთონ! შინ მისცათ ამათ ამისი მოხერხება! აქ რო ქეიფებს, დროს გატარებას და ჯიბის ტენას ვერ მოახერხებენ, — ისე როგორ იქნება?!

მალაზიების დაარსებით, (ვახსნით) არაფერი მეტი ხარჯი არ მიეცემა საზოგადოებას. იმას დაჭირდება ერთი, ან ორი კაცი, — თვალყურის მჭერელი და მოლაზვე. მალაზია აშენებულია და უნდა აშენდეს კანცელარიასთან. ამ უკანასკნელს მაინც ხო ეჭირება და ჰყავს კიდევაც მოსამსახურე, — გზირები. აი ამ გზირების მხედველობის ქვეშ იქნება მალაზია, რომ ის არაფერ გაჭურდოს. და ყოველთვის, როცა კი საზოგადოებას რომელიმე მიზეზის გამო შემოაკლდება საზრდო, მივა დაიმედებული თავის „საუნჯესთან“ და გამოიტანს, როგორც თავის სახლიდგან. ამის შემდეგ თუნდა ცუდი მოსავალი და სიძვირე იყოს, ხალხის ვერ იგრძნობს, როგორც ვხლა, როცა თავისივე ნაწევად — ნადავში ვილაც „ბლდსარა მაკირტიჩიანცებს“ და სხ. ორ წილს და მომეტებულს აძლევს!

იხედი ვიქნაიოთ, რომ ჩვენს ხალხს აგრძობანებენ ამ სასარგებლო საქმეს და დაინსნიან იმ გაჭირვებისგან, რომელშიაც ის ყოველთვის, მოსავლის დაძვირების დროს, ჩაეარდნილია!

სირბილაძე.

### რუსეთი

— მოსკოვის უწყვეტმა იწყებია: „შურიდამ პეტროვსკში მოიყვანეს მეორე პარტია აჯანყებული დაღსტენლებისა, რომელიც სარატოვის რეზერვიაში უნდა გადაესახლებინათ. და რომლებიც ამ დრომდე თავიანთ ნათესავებისა და ნაცნობების თვლებობის ქვეშ იყვნენ დაღსტანში. მა პარტია თითქმის სამას კაცამდგა. მოვიდნენ თუ არა ნავსადგურზედ, ისინი საჩქაროდ დასვეს წასასვლელად განმზადებული გემზედ, რომელიც ერთი საათის შემდეგ დაიძრა და გაუდგა გზას. შაჰალი და ლაზთაიანები არიანო. იმათ მხედრობაც იციან, მიწის მუშაობაც, მწყემსობაც, ხელოსნობაცა და ეჭრობაც. თუ რამდენათ ნიჭიერია მთის ხალხი, ეს სჩანს შემდეგადამ: ერთმა ხელოსანმა წარუდგინა უფროსს თავის გაკეთებული ამერიკული თოფების მსგავსი თოფიო...“

სულ უნდა გადასახლონ შურიდამ პეტროვსკისკენ — 680 კაცი და დერბენტზედ — 750 კაცი ორივე სქისია; სამი დღე პარტია ამათი უკვე წაიყვანეს; და ნარჩენი ასი კაცი უნდა გაიგზავნოს უკანოთ.

## რუსო ქვეყნის

### ოსმალეთი.

— შოთ ფრანცუზულ ვაზეთში მოყვანილია ტელეგრამა, რომ პარიზ-ფაშამ აცნობა საბერძნეთისგან გამოგზავნილ კაცს, რომ პარტია უცდის სეფეთ-ფაშის მოსვლას და იმ დრომდე არ დანიშნავს კამისრებს საბერძნეთის სამხლერების გასაწორებლათ.

ამავე ვაზეთის ტელეგრამა ამბობს, რომ დაინიშნულნი არიან კამისრებათ ალი-საიდ-ფაშა, მუნიფ-ფაშა და ნჯაბ-ფაშა საბერძნეთის სამხლერების გასაყვანათაო.

— მეორე ფრანცუზულ ვაზეთში სწერენ, რომელიც „რომ პარიზ-ფაშას ჰქონდა მოლაპარაკება სეფეთ-ფაშასთან, რომელთაც გადაწყვიტეს, მოახსენონ სულთანს, რომ მხოლოდ მაშინ მოახსენონ ცვლილება კაბინეტში, როცა საბერძნეთთან მოლაპარაკება გათავდება.“

— დღეს, 27 ივლისს: მათრის ჯარების უფროსმა მიიღო ბრძანება, რომ თავისუფალი ბათალიონები გაგზავნოს იანინში და საბერძნეთის სამხლერებზედ.

### ავსტრო-ვენგრია.


პარტის კამისარის მუსნი-ფაშისა და აესტრო-ვენგრის წარმომადგენლებისაგან მომხდარა ნებართვა, რომ აესტრიელები შევიდნენ ახალ-ბაზარის მაზრებში. დაბრკოლება მხოლოდ აესტრიელებისთვის ბინის გამო იყო, რადგანაც შორანი უკრძალავს ზუაურმანების დედაკაცებს ქრისტიანებთან ერთ სადგომში ყოფნას. ამის გამო მორიგდნენ, რომ აესტრო-ვენგრის ჯარებისთვის ან დაექირაებინათ ცალკე სახლები, ან დროებითი კარავები გაეკეთებინათ.

### იტალია

— შოთ ნეპოლის ვაზეთში სწერია, რომ იტალიის სამინისტრომ გაუგზავნა ნოტა პარიზში და ლონდონში მყოფს თავის ვაგზავნალ პირებს, რომელშიაც ამ სამინისტროს გამოჰყავს თავისი მხედველობა ბერლინის ტრაქტატის შესრულებაზედ, განსაკუთრებით საბერძნეთის შესახებ.

### მსხანია

მადრიდიდამ იწერებიათ ერთ უცხო ქვეყნების ვაზეთებში, რომ „კაროლს ააქუხნარო შემთხვევა მოუვიდა, როცა მსკარიასილამ დაბრუნებული მოდოდა. ია მოდიოდა პრინციისთ და ორი უნცროსი დებით, რომ ერთ სამიშარ კლდიან გზაზედ გადაბრუნდა კარტა და ცოტათი ხელა გაეკაწრა. მქიმებია შეუკრეს ხელი და უთხრეს, რომ სამიშარ მდგოქარეობაში არ იმყოფება.“



ინგლისი და საფრანგეთი.

ინგლისისა და საფრანგეთის მეგობრულ განწყობილებაზედ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ შემდეგს იწერებოდა ერთ იქაურ გაზეთში:

ინგლისის ესკადრო ამ ჟამად იმყოფება ბეზუის სრუტეში, ღარდნელის მახლობლად მცირე მხრით, როგორც ამბობენ, საფრანგეთი ემზადება გაგზავნოს სალონიკში თავისი ესკადრო. ამ გეგმა მოძრაობამ ზღვაში სხვა და სხვა ექვში შეიყვანა ხალხი! უკრობენ, ნუ თუ ინგლისმა მარტო მისთვის ვაგზავნა გემები ბეზუში, რომ საფრანგეთი ჰფიქრობდა სალონიკში გემების გაგზავნას? როგორც ნამდვილად გაუგიათ, ეს მართლა ასე ჰყოფილა: ინგლისს გაუგია საფრანგეთის კაბინეტის პროექტი და მოინდომა დაესწრო და გაგზავნა გემები ბეზუში.

ლონდონიდან შესახებ აქაური გემებისა თათრების წყლებში შემდეგს იწერებოდა:

„შვეტსი ნაწილი ესკადროლი ბრძანებისამებრ ტილევრამით, წავიდა ბეზუის სრუტესკენ. ამათ კაპანდირებს თან აქვს დაბეჭდილი ბრძანებები. აქ კიდევ მივამატებ სხვა გემებიცა“.

წიგნის ყიდვა შეიძლება: თფილისში — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში — სიმონ ტყედიძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ახალ-სენაკში — ბლალოჩინს სისორდიასთან.

ზუგდიდში — ბლალოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლენჩუში (ლაილასში) — ბლალოჩინ ილაჩიონ ზერსამიასთან.

სახჩერეში — შარამან ჩხვიციანთან — სასოფლო შკოლაში.

ზორში — პავლე ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

შვირილაში — ბლალოჩინ ღავით ღამბაშიძესთან.

ღაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. ღამბაშიძისაგან (დ. შეირილიძემ), ამ აღრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Тамбашидзе. მინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შუური დაეთმობა.

(7-4)

რებისა და იატაკებისათვის სრულგვით მშრალი ფიცრებია, ოღონდ წლის დასწრხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰქვარს, შეუძლიან მიმართოს არსენალის ეუზიანე-შუღინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. მალერიან ჩეჩუტი

(3-2)

ქუთაისის საადგილ-გაგულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ინიშნება საზოგადო-ვაჭრობით გასაყილად, ბანკის სადგომზე, შემდეგი მამული:

წმკეთელთა, ბოროგი და დიმიტრი მეთინეს ძეთა, მასილ სიმონის ძის და შტაბს კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა, მდებარე ქუთაისის უეზდის, წინაველში, სახელად „სარბევი.“

(1-1)

დაიბეჭდა და ისყიდება

მეგრე კარი

„ქარაგანიანისა“

ქუციის ხიდზედ, მართანოვის წიგნის მაღაზიაში მიჩნვის ლუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი შარამანიანის

შასი 40 კაპ.

განსხვავებანი

გამოვიდა და ისყიდება სახალხო სამიძიო წიგნი

კარაგალინი

შედგენილი

მღ. ღავით ღამბაშიძის-გან.

გამოცემა პირველი.

შასი გაგზავნილთ უყვლოთ ერთი მანეთი, ყლით ექვს აბაზი.

გამოვიდა და ისყიდება

„ბუბიაოლა“

ვოდვემლი

აკაკი წმკეთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები შიჰვის და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯ-

Table with multiple columns: რკ. ბზა., დილა, ს.ლამ., II კ., III კ., ტელეგრაფი, მან. კაპ., მაზანდა, მან. კაპ., თფილისის სამაჰრნალო. It contains various numerical data and text entries.